



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA000021991581820

№ 2423/ს

31 / აგვისტო / 2020 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და 2021 - 2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის "ე" პუნქტის "ე.ე" და "ე.ვ" ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია“, „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების 2021 - 2022 წლების სამოქმედო გეგმა“ (სტრატეგიული დოკუმენტები) და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია“.

მუხლი 2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი განხორციელდეს ყოველწლიურად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 3. სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის პროცესში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

მუხლი 4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციის მიზნით პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი მჭედლიშვილი

მუხლი 5. სტრატეგიული დოკუმენტები განახლდეს ორ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მისი ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა N24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია
შტამდასმული
ელექტრონულად



ჯონდო მდივნიშვილი

